ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XXII

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

გამოცემა ეძღვნება
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
დაბადებიდან 90
და აღსაყდრებიდან 45
წლისთავს

* * *

The Publication is Dedicated to the
90th Birthday of Catholicos-Patriarch of All Georgia
Ilia II
and the
45th anniversary of His Enthronement

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre
ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა
ანთოლოგია
ტომი XXII

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

შობის საგალობლები

Georgian Chant
Anthology
Volume 22

The Chant Tradition of Western Georgia

Christmas Chants

თბილისი
Tbilisi
2022

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

უაკ (UDC) 783(082)

ანთოლოგიის XXII ტომში პირველად ქვეყნდება შობის საღვთისმსახურო-სამგალობლო ციკლის ყველა საგალობელი — დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ნიმუშები — საშობაო მსახურების „სრულიად გალობით“ შესასრულებლად. ეს ჰიმნები ნოტირებულია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის მიერ. მათი ჩანაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში. წინამდებარე კრებულში მოცემულია როგორც რთული, „გამშვენებული“, ისე მარტივი სტილის ჰიმნები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პირველად გამოიცემა. კრებულში, ასევე, შესულია, ანთოლოგიის შემდგენელ-რედაქტორთა მიერ სხვადასხვა ტიპის მელოდიურ დედნებზე, სამგალობლო ტრადიციის შესაბამისად დადებული/გაწყობილი ნიმუშებიც (მაგ., ძლისპირების გარდასათქმელები, ფსალმუნის მუხლები და ა.შ.).

All the chants for the liturgical chant cycle of Christmas are being published for the first time in Volume 22 — these are works of the Western Georgian tradition for performing the Christmas service entirely through chant. These hymns are notated by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze. Their notated scores are kept at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts and the Anzor Erkomaishvili Folklore State Center. Hymns of the complex, gamshvenebuli (ornamented), as well as of the simple styles are shown in the present collection. The absolute majority of these hymns is being published for the first time. Works arranged by anthology editors to various types of original source melodies in accordance with the chant tradition are also included in the collection (for example, heirmois troparia, Psalm verses, etc.).

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XXII ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 22: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურწუმია
Editors: Rusudan Tsurtsumia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდა: ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Elizbar Khachidze

კონსულტანტები: არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა, ეკატერინე ვეშაპიძე, თამარ ფოლადიშვილი
Consultants: Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava, Ekaterine Veshapidze, Tamar Poladishvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre
© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802101-80-7 (ოცდამეორე ტომის)

შესავალი

ანთოლოგიის XXII ტომში იბეჭდება ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული შობის საგალობლები. ეს ხელნაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში.

წინამდებარე ტომში შესულია საშობაო ჰიმნები 27 სანოტო წყაროდან. ესენია:

ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან:

1. H154-I;
2. H154-III;
3. H154-VIII;
4. Q666;
5. Q668;
6. Q669;
7. Q678;
8. Q672;
9. Q673;
10. Q674;
11. Q681;
12. Q683;
13. Q684;
14. Q686;
15. Q688;
16. Q690;
17. Q691;
18. Q693;
19. Q1475.

ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან:

1. ხუნდაძე, 2100;
2. ხუნდაძე, 2101;
3. ხუნდაძე, 2114;
4. ხუნდაძე, 2122.
5. ხუნდაძე, 2124.

სანოტო გამოცემები:

1. ქორიძე, 1904;
2. ქორიძე, 1908;
3. ქორიძე, 1911.

იმ საშობაო საგალობლების უმრავლესობა, რომლებიც ქორიძის მიერ გამოცემულ კრებულებში არაა, თავმოყრილია, ძირითადად, ხელნაწერებში H154-III; 154-VIII; Q666; Q681; Q690; Q691; Q693.

ხელნაწერებში H154-III; 154-VIII; Q690; Q691 და Q693 მოცემული მასალა, ძირითადად, იდენტურია (იშვიათად, ერთი და იმავე საგალობლის ჩანაწერში ზოგიერთი ბგერის გრძლიობა განსხვავდება ხოლმე). მაგრამ, დაკვირვებით, მაინც ჩანს, რიგი თავისებურებით (რეპერტუარი, ჰიმნთა თანმიმდევრობა, რაც მთავარია —

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ნოტირებულ მელოდიათა იდენტურობის ხარისხი) უფრო ახლოს მდგომი ხელნაწერები — H154-VIII; Q690 და H154-III; Q691; Q693. ამასთან, H154-III; H154-VIII და Q690 ხელნაწერებში არის რიგი აგოგიური და ექსპრესიული აღნიშვნები, რომლებიც დანარჩენ ორ ხელნაწერში ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება.

საშობაო რეპერტუარი ყველაზე სრული სახით ხელნაწერ Q691-შია წარმოდგენილი — აქ, დანარჩენი 3 ხელნაწერისაგან განსხვავებული, „სადღესასწაულოში“ მოცემული შობის ისეთი ჰიმნებიცაა ნოტირებული, რომლებიც სხვა ხელნაწერებში არ გვხვდება.

ამიტომ ჩვენ ანთოლოგიის XXII ტომში მოცემულ შობის I, III, VI, IX, მწუხრისა და ცისკრის ჟამების ჰიმნთა ძირითად წყაროდ ავიღეთ სწორედ ხელნაწერი Q691.

წინამდებარე გამოცემაში, ყველგან ვუთითებთ საგალობლების სანოტო პირველწყაროებს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საგალობელი მხოლოდ Q691-შია ნოტირებული, წყარო აღარ გვაქვს მითითებული.

ვინაიდან ხელნაწერებში ხშირია შემთხვევა პაგინაციის არევისა, ან ორი თუ მეტი პარალელური პაგინაციისა, ჩვენს პარტიტურაში სქოლოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას ვიყენებთ პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ფოტოების პაგინაციას. ეს ფოტოები ფოლკლორის ცენტრის საიტზეა ატვირთული[1] და, სადღეისოდ, საგალობელთა სანოტო წყაროებზე მუშაობისათვის, ყველასთვის ხელმისაწვდომ ძირითად რესურსს წარმოადგენს. ამდენად, ჩვენ, ხელნაწერთა გვერდებს ვუთითებთ, სწორედ აღნიშნული დიგიტალიზებული მასალის მიხედვით — გვერდების იმ პაგინაციით, როგორც ხსენებულ პორტალზეა მოცემული.

ანთოლოგიის წინა ტომებში, რომელთა პრინციპიც იყო ერთი ტომის ფარგლებში მხოლოდ ერთი ხელნაწერის გამოცემა, გვერდების მითითების საჭიროება არ იყო. XXII ტომიდან კი, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ტომებში სხვადასხვა ხელნაწერში მოცემული ჰიმნების შეკრება, საჭირო გახდა საგალობელთა წყაროების ზუსტი მითითება.

წინამდებარე ტომის გამოცემისას მიზნად დავისახეთ, ქორიძე-კერესელიძისა და ხუნდაძის ხელნაწერებში ნოტირებულ ყველა საშობაო ჰიმნთან ერთად, საქართველოს ეკლესიის ბოლო საუკუნეების ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ „სადღესასწაულოში“ მოცემული, შობის მსახურებისათვის განკუთვნილი ყველა საგალობელი დაგვებეჭდა. საბედნიეროდ, ხსენებულ სამგალობლო-სანოტო ხელნაწერებში საშობაო მსახურების ჰიმნები თითქმის სრულადაა ნოტირებული (ზოგი სამ ხმაში, ზოგი მხოლოდ I ხმის მელოდიით, ზოგი — რამდენიმე ვარიანტად). ის ჰიმნები, რომლებიც „სადღესასწაულოში“ მოცემულია, მაგრამ XIX—XX საუკუნეებში ნოტირებული არაა, ჩვენ შესაბამისი „დედნების“ მელოდიებზე გავაწყეთ — ისინი,

[1] http://folk.gov.ge/baza/

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

„სადღესასწაულოში“, თითქმის ყოველთვისაა მითითებული. ზოგ შემთხვევაში კი, რვა ხმის სისტემის მელოდიები ან ამა თუ იმ ლიტურგიკული ჟანრის საზოგადო ჰანგები გამოვიყენეთ. ყველა ეს შემთხვევა თავად ასეთ ჰიმნთა პარტიტურაში, სქოლიოებშია აღნიშნული.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევები არცთუ ხშირია. სამაგიეროდ, სანოტო ხელნაწერებში საკმაო რაოდენობითაა საშობაო ჰიმნები, რომელთა მხოლოდ I ხმაა ნოტირებული. ასეთ საგალობლებთანაც, სქოლიოში აღნიშნულია, რომ II—III ხმები ჩვენი შეწყობილია. უნდა ითქვას, რომ რესტავრირებული პოლიფონიური ფაქტურის ნიმუშთა უმეტესობა ლევან ვეშაპიძის მიერაა შესრულებული. ზოგიერთი ჰიმნი „გამშვენებული“, ხოლო ზოგი კი, „სადა“ სტილის ესთეტიკითაა გამრავალხმიანებული. ამასთან, არცთუ იშვიათად, გამოყენებულია ქართული ტრადიციული სამუსიკო ფოლკლორისათვის ჩვეული ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობებიც — ცხადია, სამგალობლო სტილისა და ესთეტიკის კონტექსტში.

წინამდებარე ტომში, მოცემულია საშობაო ღვთისმსახურების ყველა განგების — „სამეუფო“ ჟამების, მწუხრის, ცისკრისა და წირვის განგებათა ყველა საშობაო საგალობელი. ეს მასალა შეესაბამება და ასახავს ღვთისმსახურების „სრული გალობით“ ჩატარების ტრადიციას — როდესაც, გუნდების მიერ ანტიფონურად იგალობებოდა ყველა ლიტურგიკული ტექსტი, გარდა სამღვდელო ლოცვა-ასამაღლებლებისა და ბიბლიური საკითხავებისა — სახარების, სამოციქულოს, საწინასწარმეტყველოსა და ფსალმუნებისა.[2]

სულ XXII ტომში დაბეჭდილია 229 საგალობელი, რომელთა დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ, როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, წინამდებარე ტომშიც, ვერ გავექეცით სხვა ტომებში გამოქვეყნებული ზოგიერთი საგალობლის განმეორებით გამოცემას. მათი რიცხვი ცოტაა და სქოლიოში მუდამ გვაქვს აღნიშნული, თუ ანთოლოგიის რომელ ტომებშია გამოქვეყნებული ისინი (გვერდისა და ნომრის მითითებით). ზოგადად, უნდა ითქვას, რომ, ერთი მხრივ, მსახურების თავისებურებების გამო, ხოლო მეორე მხრივ, ქორიძისა და კერესელიძის ხელნაწერების ისტორიისა და შედგენა-გადაწერა-გადათეთრების გამო, ზოგიერთი საგალობლის გამეორებით პუბლიკაციისათვის თავის არიდება შეუძლებელია. ანთოლოგიის გამოცემის დასრულების შემდეგ, უკვე შესაძლებელი იქნება, როგორც

[2] ფსალმუნთა „სრული გალობით“ შესრულების ტრადიცია, როგორც ჩანს, XVIII—XIX საუკუნეების ქართულ ეკლესიაში, ცნობილი ისტორიული ძნელბედობების გამო, უკვე აღარ არსებობდა. XIX—XX საუკუნეთა სანოტო ხელნაწერებში მხოლოდ რამდენიმე ფსალმუნია ნოტირებული სრული და არა „გამოკრებილი“/შემოკლებული სახით. ჩვენ, ანთოლოგიის ფარგლებში, დიდი სურვილი გვაქვს და ვგეგმავთ, რომ გამოვცეთ ტრადიციული 8 ხმის სისტემის ჰანგებზე გაწყობილი ფსალმუნებიც. თუმცა, იმასაც ვაცნობიერებთ, რომ, სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოში არ არსებობს, „სრული გალობით“ მსახურების შესრულების არც პირობები და არც მოთხოვნილება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

საგალობელთა ზუსტი რაოდენობის, ისე განმეორებათა და ვარიანტული მსგავსება-განსხვავებების შემთხვევათა დადგენა.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებში, არა მხოლოდ შობის საგალობლებია მოცემული. ეს ხელნაწერები, ძირითადად, გახლავთ, სხვადასხვა დღესასწაულთა განგებების მრავალი ჰიმნის შემცველი, საკმაოდ დიდი კრებულები. ზოგიერთი მათგანი ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძის, ზოგი კი, რაჟდენ ხუნდაძის მიერაა შედგენილი. ე. კერესელიძე, ძირითადად, აღნიშნულ ხელნაწერთა გადამწერია.

ქორიძისეული მრავალხმიანი ვარიანტები, ტრადიციულად გამოირჩევა ფაქტურულ-სტილური მრავალფეროვნებით — გამორჩეულია, მაგალითად, საშობაო „გამშვენებული“ ძლისპირების მუსიკალური გამომსახველობა — უხვად მოჩუქურთმებული მელოდიების პოლიფონიური ანსამბლი, მეტყველი მელოდიური და მდიდარი ჰარმონიული ფერადოვნებით. „გამშვენებული“ ჰიმნების გვერდით, გვხვდება მშვიდი ლმობიერებითა და სინათლით აღბეჭდილი „სადა“ ჰიმნებიც. ქორიძე-კერესელიძისეული ცალხმიანი, მთქმელის მელოდიები, ძირითადად „ნამდვილი“ კილოს სტილურ ნიშნებს ატარებს. თუმცა, მათ შორის გვხვდება „გამშვენებული“ ან „ჭრელი“ ნიმუშებიც.

რ. ხუნდაძისეული საშობაო საგალობლები, როგორც ამ დიდი ლოტბარისა და მგალობლის სანოტო მემკვიდრეობის სხვა მაგალითები, ძირითადად „სადა“ და „ნამდვილი“ სტილის ესთეტიკით გამოირჩევა.

ხელნაწერებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში. ცვლილება შეეხო მხოლოდ ტემპების აღნიშვნაში მოცემულ სიტყვათა მოძველებულ თუ არასწორ ფორმებსა და დიალექტიზმებს (მაგ. „დინჟად“, „საშვალო მოძრაობით“, რომელთა ნაცვლად ჩვენ მივუთითეთ „დინჯად“, „საშუალო მოძრაობით“ და ა.შ.).

* * *

საგალობელთა პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, მივმართავდით შესაბამის საღვთისმსახურო წიგნებს — XVIII—XXI საუკუნეებში გამოცემულ „სადღესასწაულოს“, „ჟამნს“, „პარაკლიტონს“, აგრეთვე, ნევმირებულ ძლისპირთა ძველ ქართულ ხელნაწერს A-603 (კიკნაძე, 1982). ამ წყაროთა მიხედვით გვაქვს გასწორებული ნოტირებულ ჰიმნთა პოეტური ტექსტების ორთოგრაფიული, სინტაქსური თუ შინაარსობრივი შეცდომები. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

* * *

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XXII ტომშიც, ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, თანამედროვე საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც.

პოეტური ტექსტისა თუ ლიტურგიკული მოთხოვნების გამო ორ ვარიანტად მოცემულ საგალობლებთან ერთად, წინამდებარე ტომში (ანთოლოგიის წინა ტომთა მსგავსად), ასევე, მოცემული გვაქვს ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვარიანტებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით და, შესაბამისად, ჰარმონიული ელფერითა და კილოური მიხრილობით განსხვავდებიან.

როგორც ანთოლოგიის სხვა ტომებში, XXII ტომშიც ჩვენი სარედაქტორო ჩარევა შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

როგორც სხვა ტომების შესავლებში, აქაც, მკითხველსა და მგალობლებს განმეორებით შევახსენებთ, რომ საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად, ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი). ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთი აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩაწერილი, ყველგან მივუწერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, წინამდებარე ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა და სანოტო გამოცემები

1. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნევმირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603.* გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება;

2. ორბელიანი, სულხან-საბა. (1991). *ლექსიკონი ქართული* ტომი I, თბილისი: მერანი;

3. ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). *ლექსიკონი ქართული* ტ. II, თბილისი: მერანი;

4. *პარაკლიტონი, წიგნი პარაკლიტოს.* მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1822 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან);

5. *ჟამნი.* გამომცემლობა „ალილო“, თბილისი: 2012 წელი;

6. *სადღესასწაულო.* მოსკოვი, სინოდის სტამბა. 1865 წელი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/31627);

7. ქორიძე, ფილიმონ. (1904). *აღდგომის საგალობელნი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ხარჯით გადმოღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან //* გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904;

8. ქორიძე, ფილიმონ. (1908). *გალობა : სადღესასწაულო განიცადეები //* ტფილისი : მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“, 1908;

9. ქორიძე, ფილიმონ. (1911). სადღესასწაულო საგალობელნი წირვისა : (პარტიტურა №5) // ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს გაბრიელის განკარგულებით ნოტებზე დაწერილი // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მღვ. რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან // გამოცემა ე. ს. კერესელიძისა, ტფილისი, 1911;

გამოყენებული და დამოწმებული სანოტო ხელნაწერები

1. H154-I — *გურიაში დაწერილი რვეულები. პირველი 1, 2, 3, 4, 5-თე. სძლისპირნი.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

2. H154-III — *ღვთისმშობლის მიძინების გალობა და შობის საგალობელნი 25 დეკემბრის. გურიაში დაწერილი მ. შარაძის და ე. კერესელიძის საფასით.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

3. H154-VIII — *თბილისში დაწერილი გალობა, ა. ქ.-ს [არისტოვლე ქუთათელაძის] მიერ გადმოცემით, რვეული მეთექვსმეტე [საუფლო და დიდ დღესასწაულთა და ვნების კვირის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

4. Q666 — *პარტიტურა პირველი [სადღესასწაულო საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

5. Q668 — *პარტიტურა მესამე. დიდ-მარხვის საგალობლის პარტიტურა.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

6. Q669 — *პარტიტურა მეოთხე. რვეული მერვე [სადღესასწაულო საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

7. Q672 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი.* ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

8. Q673 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი.* ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

9. Q674 — *სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის.* ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

10. Q678 — *მესამე წიგნი. ქუთაისში დაწერილი რვეული მეორე და მესამე, სამ ხმაზე დაწერილი [აღდგომისა და სხვა დღესასწაულთა საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

11. Q681 — *მეექვსე წიგნი. ქუთაისში დაწერილი [საგალობლები]. რვეული მეშვიდე. სამ ხმაზე გაწყობილი. გალობის სია [ხელნაწერი Q665] ხან პირველ რვეულად უჩვენებს ამ რვეულს.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

12. Q683 — *მერვე წიგნი [წირვის, მწუხრის, ცისკრისა და დღესასწაულთა საგალობლები].* ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

13. Q684 — *წიგნი მეცხრე. ოზურგეთში დაწერილი ძძილისპირთა საგალობელნი. ანტონ დუმბაძისაგან გადაცემული.* ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

14. Q686 — *მეთერთმეტე წიგნი. გურიაში დაწერილი რვეულები მეთერთმეტე და მეთექვსმეტე [გალობა, მარხვან-შეხვეტილიანი. სხვადასხვა საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

15. Q688 — *მეცამეტე წიგნი [მწუხრის, ცისკრისა და წირვის საგალობლები].* ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

16. Q690 — *წიგნი მეთხუთმეტე. 15 რვეული არის ამ წიგნში ერთად მოთავსებული არისტოვლე ქუთათელაძისაგან გადაცემული და ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებული. დაწყებულია 1904 წ. გათავდა 1905 წ. [საუფლო დღესასწაულების, დიდი მარხვისა და პარაკლიტონის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

17. Q691 — *ამ წიგნში მოთავსებულია 7 წიგნი 18-დან 24-მდე. სრული საგალობელნი შვიდი დღესასწაულისა: 8 სეკდემბერს ღვთისმშობლობისა, 21 ნოემბერს ტაძრად მიყვანებისა, 25 დეკემბერს ქრისტეს შობისა, 29 ივნისს პეტრე-პავლობისა, 15 აგვისტოს მიძინებისა, 29 აგვისტოს თავის-კვეთისა, 6 აგვისტოს ფერის-ცვალებისა.* ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

18. Q693 — *ოცდამეექვსე წიგნი. თორმეტი საუფლო სადღესასწაულო საგალობელნი, დასდებელნი და ფსალმუნთა წარდგომანი და რვა ხმა პარაკლიტონის გალობანი.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

19. Q1475 — *მეცხრე წიგნი. ძლისპირნი.* ფილიმონ ქორიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

20. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2100. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;

21. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2101. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;

22. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2114. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;

23. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2122. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;

24. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2124. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

Introduction

Printed in Anthology Volume 22 are the chants for Christmas shown in the manuscripts of Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, and in Koridze's publications. These manuscripts are kept at the National Center of Manuscripts and the Folklore State Center.

Included in the present volume are Christmas hymns from 27 notated sources. They are:

Manuscripts from the National Center of Manuscripts:

1. H154-I;
2. H154-III;
3. H154-VIII;
4. Q666;
5. Q668;
6. Q669;
7. Q678;
8. Q672;
9. Q673;
10. Q674;
11. Q681;
12. Q683;
13. Q684;
14. Q686;
15. Q688;
16. Q690;
17. Q691;
18. Q693;
19. Q1475.

Manuscripts from the Folklore State Center:

1. Khundadze, 2100;
2. Khundadze, 2101;
3. Khundadze, 2114;
4. Khundadze, 2122.
5. Khundadze, 2124.

Notated Publications:

1. Koridze, 1904;
2. Koridze, 1908;
3. Koridze, 1911.

Most of the Christmas chants not published in Koridze's printed publications are primarily concentrated in manuscripts H154-III, H154-VIII, Q666, Q681, Q690, Q691, and Q693.

ეროვნული ფოლკლორის ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

The material in manuscripts H154-III, H154-VIII, Q690, Q691, and Q693 is basically identical (on rare occasions, the durations of some pitches in notated versions of the same chant differ). But from observation it still seems these manuscripts — H154-VIII, Q690, H154-III, Q691, and Q693 — are closer to each other through some features (the repertoire, ordering of hymns, and the identical nature of the notated melodies, most importantly). Moreover, there are some agogic and expressive markings in manuscripts H154-III, H154-VIII, and Q690, that are less present or not existent at all in the remaining two manuscripts.

The Christmas repertoire is presented most completely in manuscript Q691. Here, in comparison to the other three manuscripts, there are some hymns notated from the Festal Menaion which are needed for the Christmas service.

Thus, manuscript Q691 was chosen as the primary source of the hymns for 1st, 3rd, 6th, 9th Hours, Vespers, and Matins in Anthology Volume 22.

The original notated sources of the chants are indicated everywhere in the present publication. Whereas in case a chant is only notated in Q691, the source is no longer referenced.

Since there are frequent occurrences of page numberings being mixed up in the manuscripts with numberings sometimes being repeated 2 or more times, the page numbering of digitized photos from the Georgian Traditional Chant Manuscript Database Project is used when indicating the pages of hymn sources in the footnotes of the score. These photos are uploaded on the Folklore Center website[1] and today it represents the most accessible, primary resource when working with notated chant sources. Therefore, the manuscript pages are indicated according to this digitized material — the page numbering as shown on this portal.

In previous anthology volumes, where in principle only a single manuscript was printed per volume, there was no need to indicate pages. Beginning with Volume 22, however, when work was commenced on collating the hymns shown in the various manuscripts, it became necessary to precisely indicate the chant sources.

When publishing the present volume, it became the editors' objective to print all the chants intended for the Christmas service in the Festal Menaion established in the Georgian Church's liturgical practice of the last centuries along with all the Christmas

[1] http://folk.gov.ge/baza/

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

hymns notated in the Koridze, Kerselidze, and Khundadze manuscripts. Fortunately, the hymns of the Christmas service are almost fully notated in these notated chant manuscripts (some in three voices, others with only the first voice shown, and still others with several variants). The hymns shown in the Festal Menaion but not notated during the 19th-20th centuries have been arranged by the editors to the melodies of their corresponding original sources almost always indicated in the Festal Menaion. In some cases, however, the melodies of the eight-tone system or the common melodies of this or that liturgical genre were used. All these occurrences are noted in the score footnotes.

As pointed out, such cases are not so frequent. On the other hand, there is a sufficient number of Christmas hymns in the notated manuscripts that only have the first voice notated. Even for these hymns, it is indicated in the footnotes that the 2nd and bass voices have been arranged by the editors. It must be mentioned that most of the restored hymns having a polyphonic texture are arranged by Levan Veshapidze. Some hymns have been arranged polyphonically according to the ornamented aesthetic and others according to the plainchant aesthetic. Moreover, there are also some cases where harmonic structures characteristic of the texture of traditional Georgian music folklore are employed — clearly within the context of the chant style and aesthetic.

All the hymns for the Christmas service – the Royal Hours, Vespers, Matins, and Liturgy — are provided in the present volume. This material fits in with the tradition of fully chanting a church service when all the liturgical texts apart from the priest's prayers and Bible readings — the Gospel, Epistle, Prophets, and Psalms[2] — were chanted antiphonically by choirs.

There are 229 hymns in all printed in Volume 22, with many of them being published for the first time.

Moreover, it will be added that like in the other anthology volumes, the editors were also unable to get away from reprinting some of the chants published in other volumes in the current one. There are not very many of these and it will always be indicated in the footnotes as to which anthology volume they are published in (with page and number referenced). Generally, it must be stated that due to the peculiarities of the Christmas service and the history, compilation, and copying of Koridze-Kereselidze manuscripts, the

[2] It seems the tradition of performing the Psalms solely through chanting no longer existed in the Georgian Church during the 18th-19th centuries because of the well-known historical challenges. Only a few Psalms are fully notated in the notated manuscripts of the 19th-20th centuries, not in an abbreviated or abridged form. It is the great desire and goal of the Anthology editors to also publish the Psalms arranged to the melodies of the traditional eight-tone system. Still, the editors are also aware that unfortunately, there are neither the conditions nor the demand for conducting services in full chanting in modern-day Georgia.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

reprinting of some chants for the publication could not be avoided. Following the conclusion of publishing the anthology, it will already be possible to determine the exact number of chants as well as the repetitions and variant similarities and discrepancies.

It must be noted that not just the hymns for Christmas are shown in the aforementioned manuscripts. These manuscripts primarily contain many hymns for a variety of feast day services, they are quite large collections. Some of them have been compiled by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze, and others by Razhden Khundadze. E. Kereselidze is primarily the person who copied the manuscripts.

The polyphonic Koridze variants traditionally stand out with their textural, stylistic diversity — the musical expressiveness of the ornamented Christmas heirmois is exemplary, for example — a polyphonic ensemble of richly embellished melodies with expressive melodic and sumptuous harmonic variety. Alongside the ornamented hymns are plainchant hymns imbued with calm compassion and radiance. The individual melodies for the first voice by Koridze and Kereselidze primarily possess stylistic characteristics of the real mode, although there also some ornamented or melismatic examples among them.

R. Khundadze's Christmas chants are mostly distinguished by their plainchant and real style aesthetics, like other examples of the notated heritage of this great choirmaster and chanter.

Postscripts or indications shown in the manuscripts have been copied by editors in the footnotes. Only the antiquated or incorrect forms and dialectic variants of words shown in tempo markings are affected by any changes (for example, "dinzhad", "sashvalo modzraobit" have instead been indicated as "dinjad", "sashualo modzraobit", etc.).

* * *

When editing the chants' poetic texts, the appropriate liturgical books were used — Festal Menaions, Horologions, and Paraklitons published in the 18th-21st centuries, as well as the ancient Georgian manuscript containing heirmois notated with neumes — A-603 (Kiknadze, 1982). Orthographic, syntactic, or semantic errors in the poetic text of notated hymns have been corrected by the editors according to these sources. The discrepancies discovered in various sources of the poetic texts (morphological ones, for example) are not indicated, as this goes beyond the anthology's scope and purpose.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

* * *

Like other volumes of the anthology, the manuscript versions of some chants are printed along with versions edited in accordance with modern liturgical requirements.

Along with chants shown in two variants due to the poetic text or liturgical requirements, the editors have also provided some parallel variants of individual chants differentiated from each other in the accidentals used, and accordingly, in their harmonic colorings and modalities.

Like in other volumes of the anthology, editorial intervention in Volume 22 also consists of changes in accidentals and the correction of errors, with of course, the appropriate indications in the comments.

As previously in the introductions of other volumes, readers and chanters will again be reminded that the divisions of chants into phrases and verses (using commas, dotted or regular bar lines indicating caesuras) have been done by the editors (because the caesuras in the manuscripts are primarily indicated by fermatas, or are not clearly marked). All musical and graphical symbols placed in parentheses (notes, accidentals, commas for caesuras, fermatas, etc.) have been done by the editors and their performance is not obligatory. All the agogic or expressive indications written only in Georgian in the manuscripts have been paired with their international Italian equivalents.

All other alterations in the original text are reflected in the notes.

The indications provided in the introductory letter to the anthology (Anth. Vol. 1) affect all chants, including those printed in the present volume.

Svimon (Jiki) Jangulashvili

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

Works Cited and Published Scores (in Georgian)

1. Kiknadze, Gulnaz. *The Neumatic Heirmois: Manuscript A-603*. Published with study and indices by G. Kiknadze. Tbilisi, Metsniereba, 1982.

2. Orbeliani, Sulkhan-Saba. Georgian Dictionary, Vol. 1. Tbilisi, Merani, 1991.

3. Orbeliani, Sulkhan-Saba. Georgian Dictionary, Vol. 2. Tbilisi, Merani, 1993.

4. *The Parakliton, Book of the Paraklitos*. Moscow, Synod Press, 1822 (from the National Parliamentary Library of Georgia website).

5. Horologion. Tbilisi, Alilo Publishing, 2012.

6. Festal Menaion. Moscow, Synod Press, 1865 (from the National Parliamentary Library of Georgia website — https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/31627).

7. Koridze, Philimon. *Chants for Easter // Score #4 // Copied by Philimon Koridze son of Iese by financing from the Diocese of Imeretia. Transcribed from Dimitri R. Chalaganidze, Archdeacon Razhden T. Khundadze, and Priest I. Tsereteli*. Tbilisi, Published by M. Sharadze, E. Kereselidze, S. Losaberidze, distributed by V. Gdzelidze, 1904.

8. Koridze, Philimon. *Chant: Communion Hymns for Feast Days*. Tbilisi, Dzmobisa Express Publishing, 1908.

9. Koridze, Philimon. *Feast Day Chants for Liturgy: (Score #5) // Notated at the behest of His Eminence Bishop Gabriel // Copied by Philimon I. Koridze; Transcribed from Anton N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, Priest Razhden T. Khundadze, Ivliane I. Tsereteli*. Tbilisi, published by E.S. Kereselidze, 1911.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

Notated Manuscripts Used and Cited

1. H154-I — *Notebooks transcribed in Guria. The first 1, 2, 3, 4, 5. Heirmois*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
2. H154-III — *Chants for the Dormition of the Theotokos and Chants for Christmas, December 25. Transcribed in Guria with financing from M. Sharadze and E. Kereselidze*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
3. H154-VIII — *Chants Transcribed in Tbilisi from A.K. [Aristovle Kutateladze], Notebook 16 [Chants for Major Feast Days and Passion Week]*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
4. Q666 — *Score #1 [Chants for Feast Days]*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
5. Q668 — *Score #3. Score for the Chants of Great Lent*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
6. Q669 — *Score #4. Notebook #8 (Feast Day Chants]*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
7. Q672 — *Chants for Vespers in the Eight Tones for the Entire Year*. Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
8. Q673 — *The Parakliton in Eight Tones for the Entire Year*. Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
9. Q674 — *Three Liturgical Rites. The Hierarchical Liturgy*. Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
10. Q678 — *Book #3. Notebooks #2 and 3, transcribed in 3 voices in Kutaisi [chants for Pascha and other feast days]*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
11. Q681 — *Book #6. [Chants] transcribed in Kutaisi. Notebook #7. Arranged in three voices. The chant index [manuscript Q665] shows this notebook as the first one*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
12. Q683 — *Book #8 [Chants for Liturgy, Vespers, Matins, and Feast Days]*. Philimon Koridze's and Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.
13. Q684 — *Book #9. Heirmois transcribed in Ozurgeti from Anton Dumbadze*. Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმნიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

14. Q686 — *Book #11. Notebooks #12 and 16 transcribed in Guria [chants, chants for Lent and the Passion service. Various other chants]*. Manuscript by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

15. Q688 — *Book #13 [Chants for Vespers, Matins, and Liturgy]*. Ekvtime Kereselidze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

16. Q690 — *Book #15. 15 notebooks are collated in this book, transcribed from Aristovle Kutateladze and copied by Philimon Koridze. Started in 1904, finished in 1905 [chants for major feast days, Great Lent, and the Parakliton]*. Manuscript by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

17. Q691 — *7 books are contained in this book, 18-24. All the chants for 7 feast days: September 8, Birth of the Theotokos; November 21, Entrance into the Temple; December 25, Christmas; June 29, Feast Day of Peter and Paul; August 15, the Dormition; August 29, the Beheading of John the Baptist; August 6, the Transfiguration*. Philimon Koridze's and Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

18. Q693 — *Book #26. Chants, heirmois, Psalm prokeimena for the 12 major feast days and chants of the Parakliton in the eight tones*. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

19. Q1475 — *Book #9. Heirmois*. Philimon Koridze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelildze National Center of Manuscripts.

20. Manuscript 2100, Razhden Khundadze's Archive. Folklore State Center.

21. Manuscript 2101, Razhden Khundadze's Archive. Folklore State Center.

22. Manuscript 2114, Razhden Khundadze's Archive. Folklore State Center.

23. Manuscript 2122, Razhden Khundadze's Archive. Folklore State Center.

24. Manuscript 2124, Razhden Khundadze's Archive. Folklore State Center.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია
International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/ɑ/	father	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	bless	
გ	g	/g/	given	
დ	d	/d/	day	
ე	e	/ɛ/	set	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	vet	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	zenith	
თ	t	/tʰ/	today	
ი	i	/i/	meet	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	pick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	life	
მ	m	/m/	mentor	
ნ	n	/n/	new	
ო	o	/ɔ/	go	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	upkeep	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/ʒ/	pleasure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	see	
ტ	t'	/t'/	sitcom	non-aspirated "t"
უ	u	/u/	root	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/pʰ/	pilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/kʰ/	call	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ღ	gh	/ɣ/	Paris	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	shine	
ჩ	ch	/tʃʰ/	choose	
ც	ts	/tsʰ/	sets	
ძ	dz	/dz/	nods	
წ	ts'	/ts'/	sits near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	much noise	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/x/	Bach	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჯ	j	/dʒ/	joy	
ჰ	h	/h/	hymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

შედეგი სამეუფოთა ჟამთა[1)]

* * *

Service of the Royal Hours

1) აქ მოცემული ჟამების საგალობლები სრულდება დასაწყისი ლოცვებისა და ფსალმუნების დამასრულებელი „დიდება-აწდა; ალილუია... დიდება შენდა“-ს შემდეგ. წინამდებარე კრებულში მოცემულია სანოტო ხელნაწერებში დაფიქსირებული, ჟამნობაზე შესასრულებელი შობის საგალობლები. არაა დასაწყისი ლოცვები და ფსალმუნები, რომლებიც ბოლო საუკუნეების პრაქტიკაში იკითხება და არ იგალობება. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია დასაწყისი საგალობლების („დიდება შენდა“; „მეუფეო ზეცათაო“; „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“) ანთოლოგიის სხვადასხვა ტომში დაბეჭდილი ვარიანტების გალობა.

1) The chants for the hours shown here end after the initial prayers and the "Glory, Now and Ever", "Alleluia", and "Glory to You" concluding the Psalms. Attested in notated manuscripts, the chants to be performed for the Royal Hours of Christmas are provided in the present collection. The beginning prayers and Psalms are not present since they have usually been read according to the practice of recent centuries and not chanted. If it is desired, the variants of the beginning chants ("Glory to You", "Heavenly King", "Come Let Us Worship") printed in various other volumes of the anthology can be sung.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

ჟამი I The First Hour

1. დიდება ხმა დ Glory Tone 4



2. აღიწერებოდა ოდესმე [1) 2)]

ტროპარი წინა-დღესასწაულისა ქრისტეს შობისა. ხმა დ

Mary Once, With Aged Joseph

Troparion for Christmas Eve. Tone 4



1) ხელნაწერებიდან H154-III:104r; Q691:208r.
2) ხელნაწერებში საგალობლის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, ალტერაციის ნიშნების გარეშე. აქ წარმოდგენილი II—III ხმები და ალტერაციის ნიშნები ჩვენი ჩამატებულია.
3) ფრჩხილებში ჩასმული ალტერაციის ნიშნები ყველგან ჩვენი ჩამატებულია. მათი შესრულება სავალდებულო არაა.
1) From the manuscripts H154-III:104r; Q691:208r.
2) Only the first voice of the chant is notated in the manuscripts without any accidentals. The second and bass voices, and accidentals shown here have been added by the editors.
3) All accidentals that appear in parentheses were added by the editors. They can be sung (or not sung) at will.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA









საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA









საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA





3. აწ და

ხმა დ

Now and Ever

Tone 4



1) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

1) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

4. რა-მე სახელ-გდვათ შენ, ჭოი, მიმადლებულო [1) 2)]

პირველი ჟამის ტროპარი. ხმა ვ

What Shall We Call You, O Full of Grace

Troparion for First Hour. Tone 6



1) ხელნაწერებიდან H154-III:105r; Q691:209r.

2) ხელნაწერებში საგალობლის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, გასაღებში *სი* ბემოლით. აქ წარმოდგენილი II—III ხმები და ალტერაციის ნიშნები ჩვენი ჩამატებულია.

1) From the manuscripts H154-III:105r; Q691:209r.

2) Only the first voice is notated in the manuscripts with B flat in the key signature. The second and bass voices, and accidentals shown here have been added by the editors.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA





1) ხელნაწერებში ჰიმნის ბოლო ფრაზაა: „მას ევედრე ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთათვის“, რაც შეცდომაა. წინამდებარე პარტიტურაში ბოლო სიტყვა სწორი გრამატიკული ფორმითაა მოცემული („ჩვენთასა“). „ჟამნში“ აქ არის: „მას ევედრე ცხოვრებად სულთა ჩვენთათვის“.

1) In the manuscripts, the last phrase of the hymn is: *"mas evedre tskhovrebisatvis sulta chventatvis"*, which is an error. The last word is shown in the grammatically correct form in the score (*chventasa*). Here in the Horologion is: *"mas evedre tskhovrebad sulta chventatvis".*

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

5. რა-მე სახელ-გდვათ შენ, ჭოი, მიმადლებულო [1)]

პირველი ჟამის ტროპარი. ხმა ვ („გამშვენებული“)

What Shall We Call You, O Full of Grace

Troparion for First Hour. Tone 6 (Ornamented style)



1) ხელნაწერიდან Q666:212r.

2) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

3) სიტყვები „ღვთისმშობელო ქალწულო“ საგალობლის ტექსტის ზოგიერთ თანამედროვე გამოცემაში არაა.

1) From the manuscript Q666:212r.

2) In the original manuscript the chant is notated without accidentals in the key signature.

3) The words "ghvtismshobelo kaltsulo" are not in some modern publications of the chant text.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

6. ბეთლემ, განემზადე! შეიმკვებოდეს ბაგა! [1) 2) 3)]

დასდებელი. ხმა ჩ

Make Ready, O Bethlehem! Let the Manger Be Prepared!

Sticheron. Tone 8

Largo



1) ხელნაწერებიდან H154-VIII:026v; Q690:027v; Q691:192r; Q693:014r.

2) ხელნაწერებში საგალობლის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, გასაღებში *სი* და *მი* ბემოლებით. აქ წარმოდგენილი II—III ხმები და ალტერაციის ნიშნები ჩვენი ჩამატებულია.

3) „სადღესასწაულო“: „ესრეთ იგალობების დასდებელნი ესე ორ-ორ-გზის, ქმნილნი სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისა.“ [დასდებლები მეორდება ანტიფონურად].

1) From the manuscripts H154-VIII:026v; Q690:027v; Q691:192r; Q693:014r.

2) Only the first voice of the chant is notated in the manuscripts with B flat and E flat in the key signature. The second and bass voices, and accidentals shown here have been added by the editors.

3) Festal Menaion: "Each of these stichera are chanted twice, having been composed by Patriarch Sophronios of Jerusalem." [The stichera are repeated antiphonically].

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA



1) „სადღესასწაულო“: და მეორემან გუნდმან იგივე დასდებელი, თვინიერ ჩასართავისა [ამის შემდეგ, დასდებლების წინ იგალობება ფსალმუნური მუხლი-ჩასართავი. დასდებლის II გუნდის მიერ გამეორებისას, ფსალმუნის მუხლი აღარ მეორდება].

1) Festal Menaion: "And the second choir does the same sticheron without the verse." [After this a Psalm verse is chanted before the stichera. When the sticheron is repeated by the second choir, the Psalm verse is no longer repeated].

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

7. ღმერთი თემანით მოვიდეს

ჩასართავი

God Shall Come from Teman

Refrain



8. დღეს საწინასწარმეტყველო იგი ხმა აღესრულების[2) 3)]

დასდებელი. ხმა გ

Now the Prophecy Draws Near to its Fulfillment

Sticheron. Tone 3



1) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.
2) ხელნაწერებიდან H154-VIII:027v; Q690:028r; Q691:192r; Q693:014r.
3) ხელნაწერებში საგალობლის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, გასაღებში *სი* და *მი* ბემოლებით. აქ წარმოდგენილი II—III ხმები ჩვენი ჩამატებულია.

1) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.
2) From the manuscripts H154-VIII:027v; Q690:028r; Q691:192r; Q693:014r.
3) Only the first voice of the chant is notated in the manuscripts with B flat and E flat in the key signature. The second and bass voices shown here have been added by the editors.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA









საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA



9. უფალო, მესმა სმენა შენი და შემეშინა

ჩასართავი

O Lord, I Have Heard the Report of You and Was Afraid

Refrain



1) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

2) „სადღესასწაულო“: „კვალად იგივე დასდებელი [„დღეს საწინასწარმეტყველო“, რის შემდეგაც], ესრეთ [იგალობება] დიდება, ხმა ჳ“.

1) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

2) Festal Menaion: "Again the same sticheron ["Now the Prophecy", after which], this [is chanted] "Glory", tone 8."

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

10. დიდება ხმა დ — Glory Tone 4



11. ესრეთ ეტყოდა იოსებ ქალწულსა [1) 2)]

დასდებელი. ხმა ჭ

Joseph Spoke Thus to the Virgin

Sticheron. Tone 8



1) ხელნაწერებიდან H154-VIII:029r; Q690:028v; Q691:193r; Q693:014v.
2) ხელნაწერებში საგალობლის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული, ალტერაციის ნიშნების გარეშე. აქ წარმოდგენილი II—III ხმები და ალტერაციის ნიშნები ჩვენი ჩამატებულია.
3) ფრაგმენტის ვარიანტი ხელნაწერიდან Q693:014v.
1) From the manuscripts H154-VIII:029r; Q690:028v; Q691:193r; Q693:014v.
2) Only the first voice of the chant is notated in the manuscripts without any accidentals. The second and bass voices, and accidentals shown here have been added by the editors.
3) A variant of the fragment from manuscript Q693:014v.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA





1) სუბმოტივი „და რაი არს“ ხელნაწერებში ვარიანტული სხვაობითაა ჩაწერილი: Q690-სა და Q693-ში პირველი *რე* მერვედი გრძლიობისაა, H154-VIII-ში კი, სიტყვები „და რა არს“ დადებულია სვლაზე *რე-მი* (მერვედები) *ფა* (ნახევრიანი).
2) „სადღესასწაულო“: „და აწდა [იხ. №12] და კვალად იგივე [№11 „ესრეთ ეტყოდა“]“.
1) The submotif *"Da rai ars"* ("And what is this") is notated with some variant discrepancies in the manuscripts: In Q690 and Q693, the first D is an eighth note, in H154-VIII, however, the words *"da rai ars"* are set to the voice movement of D-E (eighth notes) F (half note).
2) Festal Menaion: "And 'Now and Ever' [see #12] and again the same chant [#11 "Joseph Spoke"]."

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA

12. აწ და

ხმა დ

Now and Ever

Tone 4



13a. უფალმან მრქვა მე: „ძე ჩემი ხარ შენ“ [1)]

წარდგომა. ხმა ბ

The Lord Said unto Me: "You Are My Son"

Prokeimenon. Tone 2



1) ხელნაწერში და „სადღესასწაულოში“ ამ საგალობელზე მითითებულია, რომ ეს არის დ ხმის წარდგომა, თუმცა მისი მუსიკა ბ ხმისაა. ამიტომ, ჩვენ აქ გთავაზობთ როგორც ხელნაწერისეულ წარდგომას და მის ჰანგზე ჩვენ მიერ გაწყობილ ფსალმუნურ მუხლს ანტიფონური შესრულებისათვის (№13a), ასევე, დ ხმის წარდგომათა მუსიკაზე ჩვენ მიერ გაწყობილ წარდგომასა და მუხლს (№13b).

2) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

1) It is indicated with this chant in the manuscript and Festal Menaion that it is a prokeimenon in tone 4, although the music is in tone 2. Therefore, the manuscript version and the Psalm verse arranged to its melody are offered by the editors for antiphonal performance (#13a), as well as the prokeimenon and verse arranged to the music of prokeimenon tone 4 (#13b).

2) In the original manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA



მუხლი

Verse





1) ამის შემდეგ იკითხება საწინასწარმეტყველო, სამოციქულო, სახარება, შემდეგ, იგალობება ტროპარი „აღიწერებოდა ოდესმე“ [№2], იკითხება „სლვანი ჩემნი“, „აღავსე“, დასაწყისი ლოცვები.

1) After this the prophecy, epistle, and Gospel are read, then the troparion "Mary Once, With Aged Joseph" (#2) is sung, and "Order My Steps", "Let My Mouth be Filled", and introductory prayers are read.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

